

14 ივნისი – სისხლის დონორთა მსოფლიო დღე



**World Blood
Donor Day**

14 June 2010

New Blood for the World

14 ივნისი – სისხლის დონორთა მსოფლიო დღე არჩეულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კეთილგანწყობის გამოხახატად, იმ მილიონობით ადამიანის მიმართ, რომელიც სისხლის ჩაბარების გზით ცდილობს გადაარჩინოს სხვა ადამიანის სიცოცხლე და გააუმჯობესოს მათი ჯანმრთელობა.

ამ დღეს ყურადღება მახვილდება სისხლის ჩაბარების აუცილებლობაზე, რათა აღმოიფხვრას სისხლის უკმარისობა საავადმყოფოებსა და კლინიკებში, განსაკუთრებულად კი განვითარებად ქვეყნებში, სადაც დონორთა რაოდენობა მეტად შეზღუდულია. 80 ქვეყნიდან, რომლებიც გამოირჩევიან დონორის დაბალი მაჩვენებლით (ყოველ ათას ადამიანზე მოდის 10 დონორი), 79 ქვეყანა განვითარებადია.

სისხლის დონორთა მსოფლიო დღის მიზანს წარმოადგენს ადამიანების სტიმულირება სისხლის ჩაბარებისკენ. სწორედ ამ დღეს ხდება დემონსტრირება, თუ როგორ მუშაობენ პოლიტიკის შემმუშავებელი ჯანდაცვის სისტემები, რათა სისხლის გადასხმა გახდეს უფრო უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ყველა ადამიანისთვის მთელ მსოფლიოში.

2010 წლის სისხლის დონორთა მსოფლიო დღე ფოკუსირებულია ახალგაზრდა დონორებზე.

ამ წლის სლოგანია „**ახალი სისხლი მსოფლიოს.**“

მოეუწოდებთ ახალგაზრდებს გაიღონ სისხლი და მოეუწოდონ სხვა ადამიანებსაც გახდნენ დონორები.